

სს „ანა ჯგუფი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 200004057

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



სს" ანა ჯგუფი"

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3269569	3411850
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3269569	3411850
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3269569	3411850
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-590828	-614785
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-307068	-329018
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1060542	-1581780
სულ საოპერაციო ხარჯები	-1958438	-2525583
საოპერაციო მოგება	1311131	886267

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-127302	-127254
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	-12117
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-24	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი;	1183805	746896
მოგების გადასახადის ხარჯი	-9569	-9381
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1174236	737515

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1174236	737515
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6379884	6842369
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1200000	-1200000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6354120	6379884

მთ. ბუღალტერი:



ოლღა აღუაშვილი

სს " ანა ჯგუფი "

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	131859	224903	349083
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	516552	396007	801548
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	19885	19885	19885
მარაგები	11557	20066	20317
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	11557	20066	20317
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	100	0	0
ძირითადი საშუალებები	5628316	5808511	6134290
სხვა გრძელვადიანი აქტივები	45851	0	0
სულ აქტივები	6354120	6469372	7325123
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	27558	34834
სხვა ვალდებულებები	0	61930	447920
სულ ვალდებულებები	0	89488	482754
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	659538	659538	659538
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5694582	5720346	6182831
სულ საკუთარი კაპიტალი	6354120	6379884	6842369
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6354120	6469372	7325123

მთ. ბუღალტერი:



ოლღა ადუაშვილი

სს "ანა ჯგუფი"

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-93044	-124180
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-93044	-124180
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	224903	349083
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	131859	224903

მთ. ბუღალტერი:



ოლღა ადუაშვილი

სს "ანა ჯგუფი"-ს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად
ნებადართულია დირექტორის მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

პეტრე აკოპოვი

ზოგადი ინფორმაცია

სს „ანა ჯგუფი“ რეგისტრირებულია საქართველოში და იურიდიული პირის სტატუსს ღებულობს სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის დღიდან. სს „ანა ჯგუფი“ არის მისი წინამორბედის სს „თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა“-ის სამართლებრივი მემკვიდრე. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის თბილისი, ჭყონდიდელის 56. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება. კომპანია პერიოდულად ახდენს გასაქირავებელი ფართების რეკონსტრუქციას და რემონტს დაქირავებული კომპანიების საშუალებით სანარდო ხელშეკრულებების საფუძველზე ან საკუთარი ძალებით. კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ანა ჯგუფი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ORIS“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

კომპანიის დამფუძნებელი არის აქციების 100 % წილის მფლობელი. აქციონერთა კრების მიერ არჩეულია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისაგან. საზოგადოების ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი პეტრე აკოპოვი.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების აღგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

2023 წლის შემოსავალი 3 269 569 ლარის ოდენობით მოიცავს ამონაგებს საიჯარო მომსახურებიდან და იჯარის თანხს მფლობელებიდან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.